შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №15681

2023 წლის 3 ივლისი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 18 ივლისის №34134 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 18 ივლისის №34134 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის შინაგანაწესის“ (დანართი №1) მე-13 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. თანამშრომელს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით – წელიწადში 24 სამუშაო დღით. ამასთანავე, უშუალო და სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთა თანხმობის შემთხვევაში, თანამშრომელს უფლება აქვს ისარგებლოს დამატებითი ანაზღაურებადი შვებულებით წელიწადში არაუმეტეს 5 სამუშაო დღით, დაქორწინების, შვილის შეძენის (მამის შემთხვევაში) ან ოჯახში არსებული ისეთი შეუცვლელი მდგომარეობისას, რომელიც გამორიცხავს თანამშრომლის სამსახურში ყოფნას.“.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანვე.

სამსახურის უფროსი ლევან კაკავა